აქციის დანართი №---

ქ. _____ ___ _____ 2015 წელი

აბონენტი (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საკონტაქტო ნომერი, ელ. ფოსტა):

_____

ადასტურებს, რომ ეთანხმება ქვემოთმოცემულ „აქციის“ პირობებს:

- **„აქციის“ დასახელება : '' ტვისტი '' („სილქნეტი“ - „ჯეოსელის“ ერთობლივი აქცია“)**
- **აქციის პირობები:**

1. წინამდებარე აქციის ფარგლებში აბონენტი სპეციალურ ფასად ისარგებლებს სილქენტის დსლ/ოპტიკურ და ჯეოსელის მომსახურებით;

2. აქცია ვრცელდება ოპტიკური ინტერნეტის, ოპტიკური ორმაგი/სამმაგი/ს1 სამმაგი/ოთხმაგი შეთავაზების (ან ნებისმიერი კომბინაცია, რომელიც მოიცავს ოპტიკურ ინტერნეტ მომსახურებას), დსლ ინტერნეტის და დსლ სამმაგი/დსლ ს1 სამმაგი/ოთხმაგი შეთავაზების აბონენტებზე;

   - აქცია ვრცელდება არსებულ (სილქნეტის) აბონენტებზე, რომლებიც სარგებლობენ სილქნეტის მომსახურებ(ებ)ით და იმატებენ ოპტიკურ/დსლ ინტერნეტ მომსახურებას (ან მომსახურებების ნებისმიერ კომბინაციას, რომელიც მოიცავს ინტერნეტს), რა დროსაც აღნიშნული მომსახურებები რეგისტრირდება ერთ ანგარიშზე ან/და ერთვება მე-2 პუნქტით აღწერილ შეთავაზებებში;

   - აქცია არ ვრცელდება ოპტიკური ინტერნეტის პაკეტ „სტარტზე“, ორმაგ /ს1 სამმაგ შეთავაზებაზე, რომელიც მოიცავს „სტარტ“ პაკეტს, ან მომსახურებების კომბინაციაზე, რომელიც მოიცავს აღნიშნულ პაკეტს;

   - აქცია არ ვრცელდება დსლ ინტერნეტის პაკეტ „ეკონომზე“ (დსლ ეკონომი, დსლ ეკონომი სარელეო არხით), ს1 სამმაგ შეთავაზებაზე, რომელიც მოიცავს „ეკონომ“ პაკეტს, ან მომსახურებების კომბინაციაზე (გარდა დსლ სამმაგი/ოთმაგისა), რომელიც მოიცავს აღნიშნულ პაკეტს;

3. აქციის ფარგლებში სილქნეტის და ჯეოსელის მომსახურებების სატარიფო გეგმა განისაზღვრება #1 ცხრილის შესაბამისად;

4. აქციაში მოქმედი ჯეოსელის პაკეტების პირობები და ტარიფები მოცემულია #2 ცხრილში; ს1 სამმაგ შეთავაზებაზე ჯეოსელის აქციის პირობები ვრცელდება იგივე პირობებითა და ტარიფებით, რა პირობებიც ვრცელდება ს1 სამმაგ შეთავზებაში შემავალ ინტერნეტ -მომსახურებების პაკეტებზე; იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი დაშლის DSL სამმაგ, DSL ოთხმაგ შეთავაზებას, აქციის პირობები გაუქმდება;

5. სილქნეტის ოპტიკურ ორმაგ შეთავაზებაზე აქციის პირობები გავრცელდება იგივე პირობებითა და ტარიფებით, რა პირობებიც ვრცელდება ცალკე მდგომ ინტერნეტ მომსახურების პაკეტებზე;

6. აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდი განისაზღვრება 2015 წლის 26 აგვისტოდან 1 (ერთი) წლის ვადით, ინსტალაციის პერიოდი კი - აქციაზე რეგისტრაციის პერიოდის დასრულებიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღის ვადით; სილქნეტის მომსახურებ(ებ)ის ინსტალაციის აქციით დადგენილი ვადის დასრულების შემდეგ ინსტალაციისას, აბონენტს ეზღუდება აქციის პირობით სარგებლობის უფლება;

7. აქციის მოქმედების პერიოდი შეადგენს 18 თვეს (აღნიშნული ვადა აითვლება 2015 წლის 26 აგვისტოდან).

8. აბონენტს ჯეოსელის პაკეტის აქციით განსაზღვრული საფასური დაერიცხება სილქნეტის მომსახურებების შესაბამის ანგარიშზე;

9. აქციაში ჩართული ჯეოსელის პაკეტის მოქმედების ვადა განისაზღვრება 1 (ერთი) კალენდარული თვით; თუ პაკეტის გააქტიურება მოხდება კალენდარული თვის ბოლო რიცხვებში, შემდეგ კალენდარულ თვეში შესაბამისი რიცხვის არარსებობისას, შემდეგი პაკეტის გააქტიურება მოხდება მომდევნო თვის ბოლო რიცხვში და პაკეტის გააქტიურების თარიღად დარჩება გააქტიურების ყოველი ასეთი შეცვლილი თარიღი; აბონენტს, აქციაში ჩართულ ჯეოსელის ყოველ ერთ ნომერზე აქციის პირობებიანი ჯეოსელის პაკეტი შეუძლია გაიაქტიუროს თვეში ერთხელ;

10. აქციის პირობებით ჩართული სილქნეტის მომსახურებ(ებ)ის შესაბამის ერთ ანგარიშზე შესაძლებელია მაქსიმუმ 5 (ხუთი) ჯეოსელის სატელეფონო ნომრის რეგისტრაცია. ჯეოსელის ერთი სატელეფონო ნომერი რეგისტრირდება სილნეტის მომსახურებ(ებ)ის ერთ ანგარიშზე. აბონენტს შესაძლებლობა აქვს აქციის Tპირობებით უკვე დარეგისტრირებულ ჯეოსელის სატელეფონო ნომერზე/ნომრებზე გააუქმოს აქცია (გაიყვანოს აქციის პირობებიდან) და იმავე ნომრით/ნომრებით სილქნეტის მომსახურებ(ებ)ის სხვა ანგარიშზე დარეგისტრირდეს წინამდებარე აქციის პირობებით; აქციის გააქტიურების შესაბამისი თვის მომდევნო და ყოველ შემდეგ კალენდარულ თვეში აბონენტს შეუძლია ჯეოსელის 4 (ოთხი) სატელეფონო ნომრის რეგისტრაცია ან უკვე რეგისტრირებული ნომრის/ნომრების სხვა ნომრით ჩანაცვლება თვის ჭრილში ნომრების ჯამური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხუთს); ერთ ანგარიშზე რეგისტრირებულ ჯეოსელის ნომრებზე დასაშვებია აქციაში მოქმედი სხვადასხვა სატარიფო გეგმის აქტივაცია; სილქნეტის მომსახურებებ(ებ)ის ერთ ანგარიშზე რეგისტრირებული ჯეოსელის სატელეფონო ნომრის/ნომრების აქციიდან გაუქმებისას, თუ ანგარიშზე რჩება 2 ან მეტი ჯეოსელის სატელეფონო ნომერი და მათზე გააქტიურებულია აქციაში მონაწილე ჯეოსელის სხვადასხვა პაკეტები, იმ შემთვევაში, თუ ჯეოსელის სხვადასხვა პაკეტებთან კომბინაციაში სილქნეტის მომსახურებ(ებ)ის ღირებულება განსხვავებულია, მოხდება აღნიშნული ტარიფებიდან უმცირესი ტარიფის დარიცხვა;

11. აქციაში ჩართვა სილქნეტის ახალი აბონენტის შემთხვევაში მოხდება სილქნეტის მომსახურებ(ებ)ის ინსტალაციის შემდეგ (ანგარიშის გააქტიურებისთანავე); სილქნეტის არსებული აბონენტის წინამდებარე აქციაზე რეგისტრაციისას, თუ აბონენტის მიერ აქციაში ჩასართავ ჯეოსელის ნომერზე ფიქსირდება რომელიმე Error კოდი, აბონენტი ვერ დარეგისტრირდება აქციაზე;

12. ჯეოსელის პაკეტის აქტივაციისათვის ხდება ჯეოსელის ნომრის სტატუსის, ე.წ. ERROR კოდების შემოწმება. ERROR კოდების განმარტება იხილეთ #3 ცხრილში; ERROR 3 კოდის დაფიქსირებისას ჯეოსელის სატელეფონო ნომერზე ავტომატურად გაუქმდება აქცია. ERROR 1 და ERROR 2 კოდების დაფიქსირებისას არ მოხდება ჯეოსელის პაკეტის აქტივაცია, ხოლო სილქნეტის მომსახურებებზე მოხდება აქციით გათვალისწინებული ტარიფის დარიცხვა. ERROR 1 და ERROR 2 კოდების დაფიქსირებისას, სილქნეტის მხრიდან ავტომატურად განხორციელდება ჯეოსელის ნომრის სტატუსის შემოწმება ყოველ 3 საათში ერთხელ. Error კოდის მოხსნის შემთხვევაში მოხდება აქციის პირობით ჯეოსელის პაკეტის ავტომატურად აქტვიაცია. ასევე აბონენტის მოთხოვნის საფუძველზე შესაძლებელი იქნება სილქნეტის ოპერატორის მიერ ჯეოსელის ნომრის სტატუსის შემოწმება და Error კოდის მოხსნის შემთხვევაში აქციის პირობით ჯეოსელის პაკეტის აქტივაცია. 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ERROR კოდის მოხსნის შემთხვევაში მოხდება ჯეოსელის პაკეტის აქციის ფარგლებში აქტივაცია და შესაბამისად თანხის დარიცხვა, ხოლო აღნიშნული პერიოდის უშედეგოდ გასვლისას ERROR კოდის არსებობის შემთხვევაში მოხდება აქციის გაუქმება და აბონენტს დაერიცხება სილქნეტის მომსახურებ(ებ)ის სტანდარტული ტარიფი;

13. აქციის ფარგლებში სილქნეტის მომსახურებ(ებ)ის ინსტალაციის ღირებულება განისაზღვრება სილქნეტის სტანდარტული სატარიფო გეგმით;

- თუ სილქნეტის მომსახურებ(ებ)ის ინსტალაციის პერიოდში, შესაბამის ანგარიშზე რეგისტრირებული ჯეოსელის სატელეფონო ნომერზე ფიქსირდება კოდი ERROR 3, აბონენტის აქციაში ჩართვა არ მოხდება;

- თუ სილქნეტის მომსახურებ(ებ)ის ინსტალაციის პერიოდში, შესაბამის ანგარიშზე რეგისტრირებული ჯეოსელის სატელეფონო ნომერზე ფიქსირდება კოდი ERROR 1 და ERROR 2, აქციაში ჩართვა არ მოხდება. ERROR 1 და ERROR 2 კოდების დაფიქსირებისას სილქნეტის მხრიდან ავტომატურად განხორციელდება ჯეოსელის ნომრის სტატუსის შემოწმება ყოველ 3 საათში ერთხელ და Error კოდის მოხსნის შემთხვევაში მოხდება აქციის პირობით ჯეოსელის პაკეტის ავტომატურად აქტივაცია. ასევე აბონენტის მოთხოვნის საფუძველზე შესაძლებელი იქნება სილქნეტის ოპერატორის მიერ ჯეოსელის ნომრის სტატუსის შემოწმება და Error კოდის მოხსნის შემთხვევაში აქციის პირობით ჯეოსელის პაკეტის აქტვიაცია. აღნიშნული კოდების დაფიქსირების შემთხვევაში 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში ERROR კოდის გასწორებისას, აბონენტის აქციაში ჩართვა მოხდება ავტომატურად;

- სილქნეტის მომსახურებ(ებ)ის ინსტალაციამდე და ინსტალაციის შემდეგ აქციის გააქტიურებამდე პერიოდში შესაძლებელია ჯეოსელის ნომრის ცვლილება. აღნიშნული ცვლილება არ ჩაითვლება მე-10 პუნქტით განსაზღვრულ რაოდენობაში;

14. აქციაში ჩართვისთანავე სილქნეტის მომსახურებაზე ყოველთვიური სააბონენტო გადასახადის დარიცხვა ხდება კომპანიაში არსებული სტანდარტული წესის შესაბამისად. ჯეოსელის მომსახურების ღირებულების სრულად დარიცხვა ხდება (როგორც პირველ, ასევე მომდევნო სატელეფონო ნომრებზე) ჯეოსელის პაკეტის გააქტიურებისთანავე;;

15. დავალიანების გადაუხდელობის გამო სილქნეტის მომსახურებ(ებ)ის შეზღუდვა/შეწყვეტისას არ მოხდება ჯეოსელის მომსახურების შეზღუდვა ჯეოსელის პაკეტის ვადის ამოწურვამდე. თუ ჯეოსელის პაკეტის ავტომატური გააქტიურების

თარიღისთვის სილქნეტის მომსახურებები იქნება შეზღუდული (დავალიანების გადაუხდელობის გამო), ჯეოსელის ახალი პაკეტის აქტივაცია (აქციის პირობებით) სილქნეტის მომსახურების დავალიანების დაფარვამდე არ მოხდება;

16. აქციის მოქმედების პერიოდში აბონენტს არ ეზღუდება აქციის პირობებით რამდენიმეჯერ სარგებლობის შესაძლებლობა. აქციის გაუქმების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს კალენდარული თვის განმავლობაში ერთს. აქციის გაუქმების შემთხვევაში აბონენტს შეუნარჩუნდება სილქნეტის მომსახურებ(ებ) ის პაკეტები, რომლითაც სარგებლობდა აქციის გაუქმებამდე და მოხდება შესაბამისი (სტანდარტული) ღირებულების დარიცხვა. ასეთ შემთხვევაში ჯეოსელის სატელეფონო ნომერზე/ნომრებზე გააქტიურებული პაკეტის აქციის პირობებით მიწოდება მოხდება მისი ვადის ამოწურვამდე, ხოლო აღნიშნული ვადის დასრულების შემდეგ, აქციის პირობით ჯეოსელის ახალი პაკეტების აქტივაცია აღარ მოხდება;

17. იმ შემთხვევაში, თუ აქციის მოქმედების პერიოდში მოხდება სილქნეტის ინტერნეტ (ოპტიკა/დსლ) მომსახურების (ან შეთავაზების (რომელიც მოიცავს ინტერნეტ-მომსახურებას) გაუქმება, ავტომატურად შეიზღუდება აქციის პირობები;
18. იმ შემთხვევაში, თუ აქციის ფარგლებში ჯეოსელის პაკეტის ღირებულება აღემატება სილქნეტის მომსახურების ანგარიშზე არსებულ დავალიანების დარჩენილი ლიმიტის ოდენობას, ჯეოსელის პაკეტის აქტივაცია არ მოხდება;
19. აქციის მოქმედების პერიოდში სილქნეტის მომსახურების პაკეტის ცვლილება არ იზღუდება; იმ შემთხვევაში, თუ აქციაში ჩართული აბონენტი სილქნეტის პაკეტს ცვლის იმ პაკეტით, რომელიც არ მონაწილეობს აქციაში მოხდება აქციის ავტომატურად გაუქმება; ჯეოსელის პაკეტის ცვლილება კალენდარული თვის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს ერთს;
20. ჯეოსელის ნომრის გაუქმების/პორტირების შემთხვევაში, აქციის პირობები გაუქმდება;
21. აქციის ფარგლებში ჯეოსელის ნომრის ცვლილება შეზღუდული არ არის, აქციის ფარგლებში მოხდება არსებული ნომრის გაუქმება (აქციიდან გათიშვა) და ახალი ნომრის აქციაში ჩართვა. აღნიშნული ნომრის ცვლილებისას რეგისტრირებული ჯეოსელის სატელეფონო ნომრების რაოდენობა ჩაითვლება მე-10 პუნქტით განსაზღვრულ რაოდენობაში;
22. აქციის მოქმედების პერიოდში არ იზღუდება სილქნეტის მომსახურებ(ებ)ის დროებით შეჩერების შესაძლებლობა, ამასთან აბონენტს ეზღუდება ჯეოსელის პაკეტის გააქტიურების შეჩერების უფლება; ინტერნეტ-მომსახურების დროებით შეჩერების შემთხვევაში გააქტიურდება მეორე და ყოველი მომდევნო ჯეოსელის ნომრისთვის მოქმედი „მეტი S+“ და „უსასრულო“ პაკეტების აქციის ტარიფები (#1 ცხრილის სატრიფო გეგმის შესაბამისად);
23. სილქნეტის მომსახურებ(ებ)ის მისამართის ან ტექნოლოგიის ცვლილებისას ავტომატურად გაუქმდება აქციის პირობები. მომსახურებ(ებ)ის ხელახალი აქტივაციის/ჩართვის შემდეგ, თუ აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდი არ არის დასრულებული, აქციის პირობების გააქტიურება არ იზღუდება;
24. ინტერნეტ-მომსახურების მესამე პირზე გადაფორმებისას აქციის პირობები არ უქმდება;
25. აქციიდან გათიშვის გზები:

- სილქნეტის აბონენტს, რომელზეც რეგისტრირებულია აქცია და ამასთან, არის აქციაში ჩართული ჯეოსელის ნომრის მფლობელი, შესაძლებლობა აქვს გააუქმოს აქცია ცხელ ხაზზე დარეკვით და კოდური სიტყვის დასახელებით, სერვის ცენტრში პირადად გამოცხადებით, ან USSD კოდის საშუალებით (*186#ok და ინსტრუქციის შესაბიმად). თუ სილქნეტის აბონენტი, რომელზეც რეგისტრირებულია აქცია, არ არის აქციაში ჩართული ჯეოსელის ნომრის მფლობელი, აქციიდან ნომრის გათიშვა შეუძლია მხოლოდ ცხელ ხაზზე დარეკვით და კოდური სიტყვის დასახელებით, ან სერვის ცენტრში პირადად გამოცხადებით.
- ჯეოსელის ნომრის მფლობელის მიერ ნომრის აქციიდან გათიშვა შესაძლებელია ამავე ნომრიდან USSD კოდის აკრეფით (*186#ok და ინსტრუქციის შესაბიმად).

შენიშვნა:_____

მხარეთა ხელმოწერები:

სს „სილქნეტის“ წარმომადგენელი _____ **აბონენტი** _____

ცხრილი # 1

სილქნეტის და ჯეოსელის ერთობლივი აქციის სატარიფო გეგმა
(ფასები მოცემულია ლარში და მოიცავს დღგ-ს)

1	აქციის პირობები სილქნეტის ოპტიკური ინტერნეტის შემთხვევაში								
				ტარიფები ჯეოსელის მეტი S+-თან კომბინაციაში			ტარიფები ჯეოსელის უსასრულოსთან კომბინაციაში		
	თბილისი და რეგიონები	სიჩქარე	სტანდარტული ფასი	სილქნეტის შეთავაზების ფასი აქციის შემთხვევაში	ჯეოსელის მეტი S+-ის ფასი აქციის შემთხვევაში	ჯამური(სილქნეტი + მეტი S+) ფასი აქციის შემთხვევაში	სილქნეტის შეთავაზების ფასი აქციის შემთხვევაში	ჯეოსელის უსასრულოს ფასი აქციის შემთხვევაში	ჯამური (სილქნეტი + უსასრულო) ფასი აქციის შემთხვევაში
	სტარტი	10 მბ/წმ	26.00	არ მონაწილეობს აქციაში					
	სტარტ +	20 მბ/წმ	35.00	29.00	8.00	37.00	29.00	20.00	49.00
	დრაივი	35 მბ/წმ	40.00	36.00	8.00	44.00	34.00	20.00	54.00
	სუპერ დრაივი	50 მბ/წმ	50.00	46.00	8.00	54.00	44.00	20.00	64.00
	ფორმულა 1	100 მბ/წმ	100.00	96.00	8.00	104.00	94.00	20.00	114.00
	Dream პაკეტი	35 მბ/წმ	35.00	29.00	8.00	37.00	29.00	20.00	49.00
2	აქციის პირობები ოპტიკური სამმაგი შეთვაზების შემთხვევაში								
				ტარიფები ჯეოსელის მეტი S+-თან კომბინაციაში			ტარიფები ჯეოსელის უსასრულოსთან კომბინაციაში		
	თბილისი / რეგიონები	აღწერა	სტანდარტული ფასი	სილქნეტის შეთავაზების ფასი აქციის შემთხვევაში	ჯეოსელის მეტი S+-ის ფასი აქციის შემთხვევაში	ჯამური(სილქნეტი + მეტი S+) ფასი აქციის შემთხვევაში	სილქნეტის შეთავაზების ფასი აქციის შემთხვევაში	ჯეოსელის უსასრულოს ფასი აქციის შემთხვევაში	ჯამური (სილქნეტი + უსასრულო) ფასი აქციის შემთხვევაში
	პაკეტი 1	დრაივი 35 მბ/წმ + ლაითი + ტელ. (7 ლ)	58	54.00	8.00	62.00	52.00	20.00	72.00
	პაკეტი 2	დრაივი 35 მბ/წმ + ლუქსი +2 თემ. +ტელ. (7 ლ)	78.00	74.00	8.00	82.00	72.00	20.00	92.00
	პაკეტი 3	სუპერ დრაივი 50 მბ/წ + დელუქს HD +ტელ. (7 ლ)	98.00	94.00	8.00	102.00	92.00	20.00	112.00
	პაკეტი 4	ფორმულა1 100 მბ/წმ + დელუქს HD + ტელ.(10 ლ)	138.00	134.00	8.00	142.00	132.00	20.00	152.00
3	აქციის პირობები DSL ინტერნეტ მომსახურების შემთხვევაში								
				ტარიფები ჯეოსელის მეტი S+-თან კომბინაციაში			ტარიფები ჯეოსელის უსასრულოსთან კომბინაციაში		
	პაკეტი	სიჩქარე	სტანდარტული ფასი,	სილქნეტის ინტერნეტ მომსახურების ფასი აქციის შემთხვევაში	ჯეოსელის მეტი S+-ის ფასი აქციის შემთხვევაში	ჯამური(სილქნეტი + მეტი S+) ფასი აქციის შემთხვევაში	სილქნეტის ინტერნეტ მომსახურების ფასი აქციის შემთხვევაში	ჯეოსელის უსასრულოს ფასი აქციის შემთხვევაში	ჯამური (სილქნეტი + უსასრულო) ფასი აქციის შემთხვევაში
	ეკონომი	3 მბ/წმ	24.00	არ მონაწილეობს აქციაში					
	ეკონომი +	4 მბ/წმ	33.00	27.00	8.00	35.00	27.00	20.00	47.00
	სტანდარტი	6 მბ/წმ	45.00	41.00	8.00	49.00	39.00	20.00	59.00
	მაქსი	8 მბ/წმ	65.00	61.00	8.00	69.00	59.00	20.00	79.00
4	აქციის პირობები DSL სამმაგი შეთავაზების შემთხვევაში								
				ტარიფებიჯეოსელისმეტი S+-თანკომბინაციაში			ტარიფები ჯეოსელის უსასრულოსთან კომბინაციაში		

	თბილისი / რეგიონები	თბილისი	სტანდარტული ფასი	სილქნეტის შეთავაზების ფასი აქციის შემთხვევაში	ჯეოსელის მეტი S+-ის ფასი აქციის შემთხვევაში	ჯამური(სილქნეტი + მეტი S+) ფასი აქციის შემთხვევაში	სილქნეტის შეთავაზების ფასი აქციის შემთხვევაში	ჯეოსელის უსასრულოს ფასი აქციის შემთხვევაში	ჯამური (სილქნეტი + უსასრულო) ფასი აქციის შემთხვევაში
	პაკეტი 1	ეკონომი 3 მბ/წმ + ლუქსი + ტელ. 7 ლ	58.00	54.00	8.00	62.00	52.00	20.00	72.00
	პაკეტი 2	ეკონომი 3 მბ/წმ + ლუქსი +2 თემ. + ტელ. 7 ლ	68.00	64.00	8.00	72.00	62.00	20.00	82.00
	პაკეტი 3	ეკონომი 3 მბ/წმ + დელუქსი + ტელ. 10 ლ	78.00	74.00	8.00	82.00	72.00	20.00	92.00
5	აქციის პირობები DSL მომსახურების შემთხვევაში ქობულეთსა და რუსთავში								
				ტარიფებიჯეოსელისმეტი S+-თანკომბინაციაში			ტარიფები ჯეოსელის უსასრულოსთან კომბინაციაში		
	ქობულეთი,რუსთავი	სიჩქარე	სტანდარტული ფასი	სილქნეტის ინტერნეტ მომსახურების ფასი აქციის შემთხვევაში	ჯეოსელის მეტი S+-ის ფასი აქციის შემთხვევაში	ჯამური(სილქნეტი + მეტი S+) ფასი აქციის შემთხვევაში	სილქნეტის ინტერნეტ მომსახურების ფასი აქციის შემთხვევაში	ჯეოსელის უსასრულოს ფასი აქციის შემთხვევაში	ჯამური (სილქნეტი + უსასრულო) ფასი აქციის შემთხვევაში
	ეკონომი	3 მბ/წმ	20.00	არმონაწილეობსაქციაში					
	ეკონომ +	4 მბ/წმ	29.00	23.00	8.00	31.00	23.00	20.00	43.00
	სტანდარტ	6 მბ/წმ	45.00	41.00	8.00	49.00	39.00	20.00	59.00
	მაქსი	8 მბ/წმ	65.00	61.00	8.00	69.00	59.00	20.00	79.00
6	აქციის პირობები DSL სამმაგი შეთავაზების შემთხვევაში ქობულეთში, რუსთავსა და ქუთაისში								
				ტარიფებიჯეოსელისმეტი S+-თანკომბინაციაში			ტარიფები ჯეოსელის უსასრულოსთან კომბინაციაში		
	ქობულეთი, რუსთავი, ქუთაისი	პაკეტი	სტანდარტული ფასი	სილქნეტის შეთავაზების ფასი აქციის შემთხვევაში	ჯეოსელის მეტი S+-ის ფასი აქციის შემთხვევაში	ჯამური(სილქნეტი + მეტი S+) ფასი აქციის შემთხვევაში	სილქნეტის შეთავაზების ფასი აქციის შემთხვევაში	ჯეოსელის უსასრულოს ფასი აქციის შემთხვევაში	ჯამური (სილქნეტი + უსასრულო) ფასი აქციის შემთხვევაში
	პაკეტი 1	ეკონომი 3 მბ/წმ + ლუქსი + ტელ. 7 ლ	48.00	44.00	8.00	52.00	42.00	20.00	62.00
	პაკეტი 2	ეკონომი 3 მბ/წმ + ლუქსი + 2 თემ. + ტელ. 7 ლ	68.00	64.00	8.00	72.00	62.00	20.00	82.00
	პაკეტი 3	ეკონომი 3 მბ/წმ + დელუქსი + ტელ. 10 ლ	78.00	74.00	8.00	82.00	72.00	20.00	92.00
7	აქციის პირობები DSL სარელეოს შემთხვევაში								
				ტარიფები ჯეოსელის მეტი S+-თან კომბინაციაში			ტარიფები ჯეოსელის უსასრულოსთან კომბინაციაში		
	რეგიონები სარელეო	სიჩქარე	სტანდარტული ფასი	სილქნეტის ინტერნეტ მომსახურების ფასი აქციის შემთხვევაში	ჯეოსელის მეტი S+-ის ფასი აქციის შემთხვევაში	ჯამური(სილქნეტი + მეტი S+) ფასი აქციის შემთხვევაში	სილქნეტის ინტერნეტ მომსახურების ფასი აქციის შემთხვევაში	ჯეოსელის უსასრულოს ფასი აქციის შემთხვევაში	ჯამური (სილქნეტი + უსასრულო) ფასი აქციის შემთხვევაში
	ეკონომი	192-512 კბ/წმ	24.00	არ მონაწილეობსაქციაში					
	ეკონომ +	256 კბ/წმ - 2 მბ/წმ	33.00	27.00	8.00	35.00	27.00	20.00	47.00
	სტანდარტი	0.256- 4 მბ/წმ-მდე	45.00	41.00	8.00	49.00	39.00	20.00	59.00
	მაქსი	2 - 8 მბ/წმ-მდე	65.00	61.00	8.00	69.00	59.00	20.00	79.00

ჯეოსელის მეორე და და ყოველი მომდევნო ნომრისათვის მოქმედი ტარიფები	
ჯეოსელის პაკეტი მეტი S+	ჯეოსელის "უსასრულო"
8.00	20.00

ცხრილი #2

აქციაში მოქმედი ჯეოსელის პაკეტების სტანდარტული პირობები

(ფასები მოცემულია ლარში და მოიცავს დღგ-ს)

პაკეტი 'მეტი'		
პაკეტის აღწერილობა		
ბონუსები		
მეტი უსასრულო		
წუთი*	240 ლოკალური	ულიმიტო ლოკალური
SMS**	200	ულიმიტო
Intertet	200 MB	1 GB
ვადა	1 კალენდარული თვე	1 კალენდარული თვე
პაკეტის სტანდარტული ღირებულება	არ არის ჯეოსელის სტანდარტული პაკეტი	25 ლარი

პაკეტის ღირებულება აქციის ფარგლებში იხ. #1 ცხრილში.მეტი S +ერთჯერადი პაკეტები, რომელიც მოიცავს სასაუბრო წუთებს, SMS-ებს და მობილურ ინტერნეტს.

პაკეტის ვადის და სტატუსის შემოწმება ***010*5# OK.**

*პაკეტში "მეტი" შემავალი წუთები არ ვრცელდება S1-ის, გლობალსელის და სპეც-ნომრების მიმართულებებზე, დაგერიცხებათ შესაბამისი წუთობრივი ტარიფი.
** უფასო SMS-ები არ ვრცელდება სპეცნომრებზე.

ცხრილი #3
ჯეოსელის ნომერზე Error კოდები:

Error 1:	არათავსებადი ტარიფი/სერვისი პაკეტთან „მეტი"(ტელეფონის განვადება ულიმიტო პაკეტით კერძო და კორპორატიული აბონენტებისთვის,25 ლარიანი და 50 ლარიანი ულიმიტო მოქნილი პაკეტები კორპორატიული აბონენტებისთვის, სმარტფონ პაკეტი, სერვისი - გასინჯე ინტერნეტი, ჯეოსელ კონექტი, M2M, პაკეტი მეტი ავტომატურად გაგრძელებადი).
Error 2:	სტატუსის შემოწმება - ორმხრივად გათიშული ნომერი, ცალმხრივად გათიშული ჯეოსელის ნომერი, წინა, დონორ კომპანიასთან დავალიანება, ნომრის დაპაუზება საკუთარი სურვილით, credit check საკრედიტო აბონენტებისთვის, ფროდის მიერ გათიშული ნომრები, initial სტატუსი
Error3:	არ არის ჯეოსელის აბონენტი

შენიშვნა: Error კოდებთან დაკავშრებით დეტალური ინფორმციის მიღება შესაძლებელია ჯეოსელისგან.